ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № ბ-23

ქ. ბათუმი *05 იანვარი 2015 წ.*

ჩვენ, ერთის მხრივ, შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი"-ს დირექტორი თამაზ ირემაძე და მეორეს მხრივ, შპს „სანდასუფთავება", წარმოდგენილი დირექტორის დავით ასამბაძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთის ტერიტორიიდან სამედიცინო სპეცნარჩენების (ბ,გ,დ), ნაგავსაყრელზე გატანა და შემდეგი უტილიზაცია.

2. მხარეთა ვალდებულებანი

1. დამკვეთი ვალდებულია:

ა) სამედიცინო ნარჩენები მოათავსოს სამედიცინო ნარჩენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ურნაში, არ დაუშვას ურნის გარეთ მისი დაყრა და მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება;

ბ) გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

2. შემსრულებელი ვალდებულია:

თვეში ორჯერ მოახდინოს დამკვეთის ტერიტორიიდან სამედიცინო სპეცნარჩენების გატანა და მათი უტილიზაცია (ბ,გ,დ).

3. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

1. მომსახურების ღირებულება თვის განმავლობაში განისაზღვრება ფიქსირებული 100 (ასი) ლარით.

2. დამატებით გამოძახების შემთხვევაში დამკვეთი შემსრულებელს უხდის ერთ გამოძახებაში 50 (ორმოცდაათი) ლარი.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას დამკვეთი შემსრულებელს უხდის საანგარიშისწორებო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4. ყოველი თვის ბოლოს შესრულებულ სამუშაოზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

5. დამკვეთი ვალდებულია წლის ბოლოს გამოცხადდეს შპს „სანდასუფთავების" ბუღალტერიაში შედარების აქტის გაფორმების მიზნით.

4.პასუხისმგებლობა

1. მომსახურების საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს დამკვეთს დააკისროს პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

2. თუ დამკვეთი 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში არ გადაიხდის წინა საანგარიშსწორებო თვის დავალიანებას შემსრულებელი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულების ღირებულების და ჯარიმის გადახდისაგან.

4. ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა წინა თვის მომსახურების 10 (ათი) % ოდენობით.

5 დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე;

2. მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთ შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს ერთნაირი ძალა აქვს.

6 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი:	შემსრულებელი:
შპს „თამარის დასახლების საოჯახო	შპს „სანდასუფთაველა“
მედიცინის ცენტრი“	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. № 55
	სს „ლიბერთი ბანკი“
ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4	ბანკის კოდი: **LBRTGE22**
	ა/ნ **GE14LB06100057340200 09GEL**
ს/კ 245412012	საიდენტიფიკაციო № 245548153
	sandasuptaveba @ hotmail.com
დირექტორი:	დირექტორი :